



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N83

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ.დუშეთი

#### ქ. დუშეთში, ობსერვატორიის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქ. დუშეთში, ობსერვატორიის ქუჩის სანიაღვრე არხი საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას. საკითხის დროული გადაწყვეტა აუცილებელია. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პირველად გამოცხადებული ტენდერი (SPA 150022089) არ შედგა.

ზემოხსენებულ ობიექტზე შექმნილია მძიმე ვითარება. ელექტრონული ტენდერის ჩატარებას გარკვეული დრო სჭირდება. ზამთრის მოახლოებისა და კლიმატური პირობების მოსალოდნელი გაუარესების გამო, პროექტის განხორციელება შეუძლებელი გახდება. შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

#### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ქ. დუშეთში, ობსერვატორიის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით 12 952 (თორმეტი ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი) ლარზე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.